შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№3 (9.863)

9 – 16 თებერვალი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ლევან კობიაშვილი დედოფლისწყაროში

გვ. 5

ლევან კობიაშვილი:

„მინდოდა ზუსტად მცოდნოდა როგორ ვხედავთ ჩვენს როლს, რომ ფედერაცია ჩაერთოს დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის აღდგენაში“

„ქართული ზეთისხილი“ დედოფლისწყაროში წელს 1000 ჰა პლანტაციის გაშენებას გეგმავს

მიმდინარე წლის გაზაფხულზე კომპანია „ქართული ზეთისხილი“ დამატებით 1000 ჰექტარ ზეთისხილის პლანტაციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გააშენებს, რაშიც უშუალოდ 10 მილიონი დოლარის ინვესტიციის ჩაიდებას გეგმავს. კომპანია ამჟამად ჯამში 400 ჰა ზეთისხილის პლანტაციას ფლობს, მათ შორის 100 ჰა დედოფლისწყაროში.

„ქართული ზეთისხილი“ წლევანდელ სეზონზე განსაკუთრებით უხვ მოსავალს ელოდება. საკუთარ პლანტაციებში 100 ტონა მოსავალს ელის, რაც გასული წლის მაჩვენებელს 150%-ით აღემატება. შარშანდელ რთველზე კომპანიამ 40 ტონა ზეთისხილი მიიღო.

როგორც „ქართული ზეთისხილის“ დამფუძნებელმა, გიორგი სვანიძემ განაცხადა, გაიზრდება კომპანიის მიერ წარმოებული ზეითუნის ზეთის მოცულობაც და სავარაუდოდ, 80 ტონამდე ავა. პროდუქცია როგორც - ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზრებზე გაიყიდება.

შეგახსენებთ, რომ „ქართული ზეთისხილი” პირველი კომპანიაა, რომელმაც საქართველოში ზეთისხილის კულტურა შემოიტანა. ზეთისხილის პლანტაციები 2009 წლიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ეტაპობრივად გაშენდა; კერძოდ: სიღნაღში, დედოფლისწყაროში, ტარიბანაში, ბაღდათში და მარნეულში. მოგვიანებით კი, სიღნაღში ზეითუნის ზეთის მწარმოებელი ქარხანაც აშენდა, რომელიც პროდუქციას 2017 წლიდან უშვებს. სანარმო ორი სახეობის ზეთს აწარმოებს - პრემიუმკლასს და გოლდენს. კომპანიამ ქართული ზეითუნის ზეთის წარმოებაში 7 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია ჩადო.

ილია მარტყოფლიშვილი

წყალი – დედოფლისწყაროს „აქილევსის ქუსლი“

გვ. 3

იაპონიის საელჩოს ვიზიტი დედოფლის-წყაროს წითელ ჯვარში

გვ. 6

ქახეთმა სუფთა რეგიონის წოდება მოიპოვა

გვ.2

„საქართველოს ქალების“ საქველმოქმედო აქცია დედოფლისწყაროში

გვ. 3

ელჩმა ჰერელებს საჩუქრები ჩაუტანა

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე იმსჯელეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი დავით ფხოველიშვილი კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრას დაესწრნენ, სადაც 2019 წელს კახეთის რეგიონში განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე იმსჯელეს.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები, კახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერები, სამშენებლო, საპროექტო კომპანიებისა და მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გაერთიანებული სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სამშენებლო, საპროექტო კომპანიებისა და მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლების მეტი ინფორმირებულობა.

მსგავსი ფორმატის შეხვედრები ხელს შეუწყობს კახეთის რეგიონში კომპანიების წარმომადგენლების კოორდინირებულ მუშაობასა და ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტურ განხორციელებას.

კახეთმა სუფთა რეგიონის წოდება მოიპოვა

პროექტ „დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის „სუფთა რეგიონის“ წოდება კახეთმა მოიპოვა. ჯილდო კახეთის გუბერნატორს შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ულრიკ ტიდესტრომმა გადასცა. კონკურსი „სუფთა რეგიონი“ უკვე მესამედ, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამინის მეგობრები-საქართველოს“, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა.

2018 წლის კონკურსის დანარჩენი ნომინაციების გამარჯვებულები არიან: ნომინაცია „სუფთა ქალაქი“ — ზუგდიდი; „სუფთა მუნიციპალიტეტი“ — ზუგდიდის მუნიციპალიტეტი; „სუფთა სოფელი“ — საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭორვილა; „იურიდიული პირის ეზო“ — ღვინის კომპანია ჩქმ (თელავი).

კომისიის გადაწყვეტილებით წამახალისებელი სიგელები გადაეცათ: ნომინაციაში „სუფთა მუნიციპალიტეტი“ — ხარაგაულისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებს; ნომინაციაში „სუფთა სოფელი“ — ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შორაპანს და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჩბას; ნომინაციაში „ლამაზი ეზო“ — რამაზ კიკვაძეს (წყალტუბო) და ნონა ომარაშვილს (მცხეთა).

კონკურსის ფარგლებში სიგელები გადაეცათ: ქობულეთის მერიას პლაჟის საუკეთესო დასუფთავებისთვის; ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის უფროსს, კახა ბუხრაძეს და გარემოსდაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეაგირების განყოფილების უფროსს დავით ასლამაზიშვილს.

ფრანკფურტი —ლიტერატურული შეხვედრების ადგილი (ჩემი ადამიანები ფრანკფურტში)

2018 წლის მოვლენებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას, რომელმაც საქართველო, როგორც ნიჭიერი მწერლების სამშობლო, გააცნო ევროპას. გთავაზობთ ჩვენი თანამემამულის „ფრანკფურტის დღიურებს", რომელიც თავად იყო ამ დღეების უშუალო მონაწილე.

სხვისი არ ვიცი და მე, ფრანკფურტში, საქართველოსთან შესახვედრად წავედი. რაც არ უნდა პათეტიკურად ჟღერდეს, როცა 20 წელია გერმანიაში ცხოვრობ, ფრანკფურტში ჩამოსული მწერალთა დელეგაცია მართლა არის შენი სამშობლო. მახსოვს, დიდი ხნის წინ, ბონის უნივერსიტეტში სტუდენტობის დროს, ერთ-ერთ სემინარზე მკითხეს, როგორ ხვდები შენს სამშობლოს, როცა იქ ჩადიხარ- ხოლმეო. არც დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე, მე პოეტი ქალი ვარ და ჩემს სამშობლოსაც ყოველთვის ლიტერატურულ სიბრტყეში ვხვდები -მეთქი. ჰოდა, ამ ლიტერატურულ სიბრტყეში შევხვდი საქართველოს სასტუმრო „სკანდიკში“. იქ ცხოვრების ექვსი დღე მართლა იყო ჩემთვის ლიტერატურული ურთიერთობების ზეიმის ერთი კვირა.

პირველი, ვისაც სასტუმროს შესასვლელში შევეფეთე, სწორედ ჩემს მიერ ლექსადქცეული ძველი მეგობარი იყო. ახლა მთარგმნელის და მოდერატორის ამპლუაში ჩამოსული. 16 წლის უნახავებს მართლა ძალიან ემოციური შეხვედრა გვქონდა. ამ შეხვედრას შემთხვევით პოეტი ბელა ჩეკურიშვილი შეესწრო და მერე ის ჩემი ძველი ლექსი გაიხსენა „არადა, მე სულ მენატრება ჩემი მეგობარი, ჩემი ნამინისტრალი მეგობარი, რომელსაც, ალბათ, აღარც კი ახსოვს, მინისტრობამდე როგორი იყო“... ეს ძალიან პირადული ლექსი არასდროს დამიბეჭდავს, მაგრამ ბელამ პირადი გზავნილებიდან იცოდა. ფრანკფურტმა დამნახა, რომ ჩემი ნამინისტრალი მეგობარი სრულებითაც არ შეცვლილა და რომ ლიტერატურა მისთვის ყველაზე ნამდვილი და მართალი თავშესაფარია.

გახსნა იყო ზუსტად ისეთი არაჩვეულებრივი, როგორსაც ველოდი. ეტყობოდა, რომ საქართველოს მხრიდან ყოველი დეტალი იყო გათვლილი და გერმანელების მხრიდან ყოველ დეტალში იგრძნობოდა საქართველოსადმი დიდი ინტერესი და პატივისცემა.

საერთოდ ფრანკფურტმა მეც და ყველას კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საქართველო ევროპაა. რომ ქართული შეგნება, კულტურა და ლიტერატურა ყოველთვის ევროპის ნაწილი იყო. აკა მორჩილაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ჩვენ, ქართველები, იმდენად პოეტების ქვეყანა ვართ, რომ მისთვის, როგორც პროზაიკოსისთვის, უხერხულიც კია სიტყვაში გამოსვლა. ამ წინადადებამ, რა თქმა უნდა, ტაში და დადებითი ემოციები გამოიწვია. მოგვიანებით გაზეთებმა ბევრი კარგი რეცენზია დაწერეს თანამედროვე ქართულ ლირიკაზე, ერთ-ერთ სტატიას ასეთი სათაური ჰქონდა:“საქართველო – პატარა ქვეყანა, მაგრამ დიდი ქვეყანა პოეზიის რუკაზე“.

მეორე დღეს, 10 ოქტომბერს, პირველი წარდგენა მანანა თანდაშვილის ლიტერატურულ სალონ „ევტერპეში“ გვქონდა მე, მარიამ წიკლაურს, ბონდო მაცაბერიძეს, გურამ ოდიშარიას და კრისტიანე ლიხტენფელდს. ესეც სიმბოლური დამთხვევა იყო, რომ სწორედ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში ფრანკფურტის ლიტერატურულმა სალონმა „ევტერპემ“ ათი წლის იუბილე იზეიმა. „რომანფაბრიკაში“ უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი, ძირითადად გერმანელი სტუმრები სჭარბობდნენ. მანანა თანდაშვილს თავისი ჩვეული მომხიბვლელობით მიჰყავდა საღამო, ჰყვებოდა სალონის ისტორიას და მადლობას უხდიდა ყველას, ვინც წლების მანძილზე ედგა მხარში. „რომანფაბრიკის“ დირექტორმა, ბატონმა მიხაელ ჰოჰმანმა გაიხსენა, როგორ შეხვდა ათი წლის წინ ახალგაზრდა მომხიბვლელ ქალბატონს, რომელმაც ქართული ლიტერატურული პროექტების მხარდაჭერა სთხოვა და როგორი თავდაჯერებით უთხრა მას ამ ქალბატონმა, რომ დადგებოდა დრო და საქართველო ფრანკფურტის ბაზრობაზე მასპინძელი ქვეყანა გახდებოდა.მე, პირადად, სწორედ სალონის ფარგლებში გავიცანი მანანა თანდაშვილი, მაშინ, როცა პროზაიკოსი ქალების ანთოლოგიას ადგენდა, იმ ანთოლოგიისთვის მე და ჩემმა მეუღლემ – იოახიმმა თამთა მელაშვილის მოთხრობა ვთარგმნეთ გერმანულად. ჯერ კიდევ წლების წინ უჭერდა მხარს მანანა თანდაშვილი ტანდემში მუშაობას.ჯერ კიდევ წლების წინ სჯეროდა, რომ ქართველის და გერმანელის ერთობლივი პროდუქტი წარმატებული იქნებოდა და საქართველოს ოდესღაც უფრო მეტად მოუსმენდნენ და გაუგებდნენ. „ევტერპეს“ სტუმარი პირველად 2014 წელს ვიყავი, როცა ქალბატონმა მანანამ მე, დიანა ანფიმიადი და გიორგი კეკელიძე ერთობლივ პოეტურ საღამოზე მიგვიწვია. ეს პირველი პოეტური საღამო იყო „რომანფაბრიკის“ სცენაზე და მგონი ამ საღამაზი ღონისძიების შემდეგ დაიბადა იდეა, რომ პოეტური ანთოლოგიის შედგენა სრულებითაც არ იქნებოდა არარეალური.

წელს მე და ქალბატონმა მანანამ ერთობლივად შევადგინეთ თანამედროვე პოეტი ქალების ანთოლოგია „მე ბევრი ვარ“, რომელსაც მართლა ძალიან მოუხდა რუსუდან კაიშაურის ლექსის სათაური. სწორედ ეს ანთოლოგია წარვადგინეთ მე და მარიამ წიკლაურმა „რომანფაბრიკის“ სცენაზე. ანთოლოგიაზე მუშაობისას საკუთარ თავზე გამოვცადე, რა ძნელია, ამდენი ნიჭიერი პოეტებიდან 12 ამოარჩიო და საერთოდ, რა ძნელია, გაიტანო პროექტი, რომელიც წიგნის ცენტრის საბჭოს მიერ არ ფინანსდება. თუმცა, ახალს არაფერს ვიტყვი, რომ, როდესაც შენს ნაშრომზე დადებით შეფასებებს ისმენ, ფიქრობ, რომ ამდენი ენერგია და ნერვიულობა მკითხველის სიხარულად ნამდვილად ღირდა.

„ევტერპეს“ პრეზენტაციაზე პირველად შევხვდი პირადად ერთ დიდ გერმანელ ქალბატონს ქრისტიანე ლიხთენფელდს. ჩემთვის მასთან ურთიერთობა დიდი ხნის წინ დაიწყო. 90-იანი წლები იყო, უკვე პირველ არხზე ვმუშაობდი, როსტომ ჩხეიძემ ოთარ ჭილაძის “რკინის თეატრის” გერმანიაში გამოცემაზე რომ მომაწოდა ინფორმაცია და ამ დიდ მოვლენაზე გადაცემის გაკეთება შემომთავაზა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გადაცემაში „ცხრიდან თორმეტამდე“ რამდენიმე ლიტერატორი ჩავწერე. „რკინის თეატრის“ მერე ქალბატონმა კრისტიანე ლიხტენფელდმა ჭილაძის „აველუმიც“ თარგმნა და გამოსცა. ამ დროს უკვე გერმანიაში ვცხოვრობდი და ბონში ვმუშაობდი ჟურნალისტად. ბატონ ოთარს თბილისში დავუკავშირდი და ქალბატონ ლიხტენფელდის ტელეფონის ნომერი გამოვართვი. დავურეკე და სატელეფონო საუბრიდან უკვე შემიყვარდა. მერე ტელეფონით ჩავწერე ჩემი რადიოგადაცემისთვის ბონიდან ბერლინში. ერთ- ერთი უმაგრესი რესპოდენტი იყო: გონიერი, საყვარელი, ოთარ ჭილაძის და საქართველოს დიდი მეგობარი. არ დამავიწყდება მისი ქართულ ენაზე გაკეთებული მიმართვა ქართველი ახალგაზრდებისთვის, რომელმაც სტუდიაში არაჩვეულებრივი განწყობა შექმნა. მას მერე მთელი 17 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ერთხელ წერილი გამომატანა ბატონ ოთართან, რამდენჯერმე ტელეფონითაც ვისაუბრეთ, მაგრამ 2018 წლის 10 ოქტომბრამდე თვალით არ მენახა. ფრანკფურტში კრისტიანე ლიხტენფელდთან შეხვედრა,ცხოვრების კიდევ ერთი ლამაზი საჩუქარი იყო ჩემთვის.და საერთოდ, ფრანკფურტი სავსე იყო ასეთი საჩუქრებით, რადგან ბაზრობის მეხუთე დარბაზი და მასპინძელი ქვეყნის პავილიონი ძალდაუტანებლად იქცა ლიტერატურული შეხვედრების ადგილად. ჰოდა, 11 ოქტომბერს, ჩემი წიგნის წარდგენის შემდეგ, ქართული პავილიონიდან მეხუთე დარბაზში რომ გადმოვედი, რუმინულ სტენდზე უკვე დაწყებული იყო ინტერნაციონალური კითხვა, „Pop Verlag“ -ის გერმანელი, რუმინელი და ქართველი ავტორების : მიხო მოსულიშვილის, ჰორსტ სამსონის და ბარბარა ცაიცინგერის წიგნების წარდგენა. მიხოს გვერდით, მარცხნივ, ჩემთვის უცნობი, ქართული გარეგნობის ქალბატონი იჯდა, რომელმაც მოგვიანებით მის მიერ თარგმნილ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებზე“ დაიწყო საუბარი და რომელიც შტეფი ხოტივარი აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ 1999 წელს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლისას ჩემმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა დავით თევზაძემ მომიტანა შტეფი ხოტივარის სადისერტაციო ნაშრომი ქართულ რომანზე და მითხრა, ნახე, თუ ამ გერმანელმა ქალბატონმა მოახერხა ქართული ლიტერატურის ასეთ მაღალ დონეზე კვლევა, შენც შეძლებ გერმანული ომისშემდგომი ლიტერატურის კვლევასო და ასე დამილოცა გზა ბონის უნივერსიტეტში ასპირანტურაში სასწავლებლად. რაღაცნაირად, სიმბოლური იყო ჩემთვის შტეფი ხოტივარის არსებობა ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ სივრცეში, ქალბატონის, რომელიც ათეული წლების მანძილზე თარგმნიდა ქართულ ლიტერატურას და წერდა წიგნებს ქართულ ლიტერატურულ პროცესებზე, თუმცა, მე ჩემი შტეფი ხოტივარი მყავდა, ჩემი სიმბოლოდქცეული შტეფი ხოტივარი, რომელსაც პირადად ფრანკფურტში შევხვდი.

ასეთი ლიტერატურული შეხვედრები „Pop Verlag“- მა უნებურად დაგეგმა და წარმატებით იქცა ინტერნაციონალური შეხვედრების რეჟისორად. თუნდაც მიხო მოსულიშვილის და გერმანელი მწერლის და კრიტიკოსის, ერიკ გიბელის შეხვედრა არის ერთ-ერთი არაჩვეულებრივი მაგალითი იმისა, რომ ლიტერატურულმა გემოვნებამ და ინტერესმა არ იცის არანაირი ნაციონალური საზღვარი. გამოვიდა თუ არა მიხოს წიგნი „გედები თოვლქვეშ“ გერმანულ ენაზე, ერიკ გიბელმა ძალიან საინტერესო რეცენზია დაწერა მიხოს შემოქმედებით სამყაროზე. მიხო და ერიკი ერთმანეთს პირველად ფრანკფურტში შეხვდნენ.მე ამ შეხვედრას შემთხვევით შევესწარი და კიდევ ერთხელ დავინახე, როგორ ერთბაშად შეიძლება იქცეს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ლიტერატურული და ადამიანური შეხვედრების დღესასწაულად.

„Pop Verlag“-ი 2010 წლიდან გამოსცემს „კავკასიური ბიბლიოთეკის“ სერიას და დღემდე 26 გამოცემას მოითვლის. მათ შორის არაერთ ანთოლოგიას და ლიტერატურის ისტორიას. შტეფი ხოტივართან, როგორც მთარგმნელთან, ჩემი გამომცემლობა დიდი ხანია თანამშრომლობს. როგორც გავიგე, ქალბატონი ხოტივარის მიერ ნათარგმნი „ჯაყოს ხიზნებიც“ არ დაფინანსდა წიგნის ცენტრის საბჭოს მიერ და გამომცემელმა ამჟამადაც გამოცემის სრული თანხა თავის თავზე აიღო. ამიტომ თქვა შტეფი ხოტივარმა დღის ბოლოს, „დენკბარში“ გამართულ ინტერნაციონალურ ლიტერატურულ შეხვედრაზე, სადაც მიხო მოსულიშვილის „გედები თოვლქვეშ“და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ ერთობლივად იქნა წარდგენილი, - „თუ ვინმეს ეკუთვნის ჯილდო საგამომცემლო საქმეში, ქართული ლიტერატურის გამოცემასა და პოპულარიზაციაში, ეს გამომცემელი ტრაიან პოპიაო.“ მეც ვეთანხმები ქალბატონ შტეფის. წიგნის ბაზრობაზე საქართველოს ფოკუსში ყოფნა ჯერ იდეის დონეზეც არ იყო დაგეგმილი, რომ „Pop Verlag“-ი გერმანელ პროფესორული როტფუსის ინიციატივით და რედაქტორობით ქართველ ავტორებს გამოსცემდა. ბოლო ოთხი წლის მანძილზე ბევრი პატარა და დიდი გამომცემლობა დაინტერესდა ქართული ლიტერატურით, მაგრამ ადამიანები, რომლებიც პირველი მერცხლებივით არსებობდნენ, არ უნდა დავივიწყოთ.

ფრანკფურტში მოხვეჭილი აღიარება კარგა ხანს არ დამთავრდება და საქართველოზე, როგორც დიდი კულტურის მქონე ქვეყანაზე, კიდევ დიდხანს ისაუბრებენ გერმანიაში.

ირმა შიოლაშვილი
გერმანიიდან.

წყალი – დედოფლისწყაროს „აქილევსის ქუსლი“

5 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა ტრადიციული თათბირი, რომელსაც მუნიციპალიტეტის ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სოფლების რწმუნებულები ესწრებოდნენ. შეხვედრის მთავარ თემად იქცა წყალმომარაგების საკითხი.

დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი შეეხო წყალმომარაგების საკითხს, რომელიც ჩვენი რაიონის „აქილევსის ქუსლად“ რჩება. წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის ხელმძღვანელის, ნოდარ ფიროსმანაშვილის განცხადებით, მდგომარეობა არასახარბიელოა. „წყლის დებეტი არასაკმარისია გვალვიანი ამინდის გამო“-თქვა მან და კითხვაზე, თუ როგორი ზაფხული გველოდება, საკმაოდ სკეპტიკური პასუხი გასცა: თუ ასეთი სიტუაცია გაგრძელდა და ნალექი არ მოვიდა, დამაიმედებელ სურათს ვერ დავდებთ“. წყალმომარაგების საკითხის მოგვარების ერთადერთ გზად მან დედოფლისწყაროს რეზერვუარების ივრის წყლით შევსება დაასახელა, რაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. თუმცა, თუ დედოფლისწყაროელი მოსახლეობის აზრს გავითვალისწინებთ, ერთხელ ფულის დახარჯვა ჯობს მუდმივ უწყლოობასა და ზაფხულის შიშით მოახლოვებას!

ბოლო დროს ხშირია შემთხვევები, როცა წყლის მილების დაზიანებას ახლადდაგებული ასფალტი ეწირება. მის აღდგენას კი წყალმომარაგების კომპანია არ ჩქარობს. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოსთხოვა შესაბამისი უწყების წარმომადგენელს, რომ უმოკლეს ვადებში მოხდეს დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენა. ნოდარ ფიროსმანაშვილმა განაცხადა, რომ მან თავის ზემდგომთან უკვე დააყენა ეს საკითხი და უახლოეს მომავალში მოხდება ასფალტის მოწესრიგება.

თათბირზე შეეხნენ წითელას ეპიდემიას. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელის, მარიეტა გონაშვილის ინფორმაციით, ჩვენს რაიონში წითელას სულ 7 შემთხვევაა დაფიქსირებული, თუმცა, ეპიდემიის თავიდან აცილების მიზნით, უნდა მოხდეს მოსახლეობის 95 %-ის იმუნიზაცია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი შეეხო ასევე სოფლის დახმარების პროგრამის განახლებას და განაცხადა, რომ ეს პროექტი მნიშვნელოვანია, რადგან ხელისუფლება უფრო ახლოს მიდის ხალხთან და უშუალოდ მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით ხდება სოფლების პრიორიტეტების განსაზღვრა.

მერის ინფორმაციით, გარკვეული საკადრო ცვლილებები განხორციელდა მუნიციპალიტეტის მერიაში.

მერის პირველი მოადგილე სოლომონ ღორაშვილი დავით ფხოველიშვილმა შეცვალა.

„საქართველოს ქალების“ საქველმოქმედო აქცია დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ერთობლივი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს ტანსაცმელი და საბავშვო წიგნები გადაეცა.

განსაკუთრებულად დაბალი ქულის მქონე მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენლებს ჰუმანიტარული ტვირთი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა ორგანიზაციის ხელმძღვანელთან, მაია კვეზერელთან ერთად პირადად დაურიგეს.

ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტთან 2010 წლიდან თანამშრომლობს.

მერის პირველ მოადგილედ დავით ფხოველიშვილი დაინიშნა

საკადრო ცვლილებებია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში. მერის პირველი მოადგილე სოლომონ ღორაშვილმა თანამდებობა დატოვა. მის ადგილს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი დაიკავებს. შესაბამის გადაწყვეტილებას მერმა ხელი მიმდინარე წლის 5 თებერვალს მოაწერა.



მინი დოსიე: დაბადების თარიღი: 1958 წლის 16 ივლისი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სამოქალაქო-სამრეწველო მშენებლობის ფაკულტეტი, სპეციალობა: ინჟინერ-მშენებელი.

სამუშაო გამოცდილება: 1983-1989 წლებში საქართველოს მშენებლობის სამინისტროს №4 ტრესტის (მმკ №15) საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსი.

1989-2002 წწ დედოფლისწყაროს სამშენებლო საბჭოს სამუშაოთა მწარმოებელი. 2002-2006 წწ. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს კახეთის რეგიონული არქმშენინსპექციის დედოფლისწყაროს რაიონის არქმშენინსპექტორი. 2007-2014 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2014-2018 წწ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი. 2019 წლის 5 თებერვალს დაინიშნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ინჟინერ დავით ფხოველიშვილის სახელს უკავშირდება დედოფლისწყაროში ელიას მთაზე წმინდა ელია თეზბიტელის ტაძრის აღდგენითი სამუშაოების წარმოება და მისთვის პირვანდელი სახის მაქსიმალურად შენარჩუნება.

ხე-ტყის უკანონო მოპოვების 14 ფაქტი სიღნაღსა და დედოფლისწყაროში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებმა, 2019 წლის 1 იავრიდან 31 იანვრის ჩათვლით, ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 401 ფაქტი გამოავლინეს. მათ შორის 15 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, რის გამოც მასალები სამართალდამცავ ორგანოებს გადაეცა. ქვეყნის მასშტაბით, ყველაზე მეტი შემთხვევა კახეთის რეგიოში დაფიქსირდა. იანვრის სტატისტიკურ მონაცემებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.

152 ფაქტი გამოვლინდა კახეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე, აქედან იანვრის თვეში 14 შემთხვევა სიღნაღი-დედოფლისწყაროს უბანზეა რეგისტრირებული. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში გამოვლინდა 1-1 ფაქტი, ხოლო ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიცრების მიერ, ორივე რაიონში, დედოფლისწყაროსიღნაღის სატყეო უბანში ჯამში - 12 ფაქტი.

ჯამში, იანვრის თვეში ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 427 მ3-მდე ხე-ტყე. ამავე პერიოდში, სახერხი საამქროს რეგლამენტის დარღვევის 53 ფაქტი დაფიქსირდა და ამოღებულია 3 ერთეული დაურეგისტრირებელი სახერხი დანადგარი. მასალები, შემდგომი რეაგირებისთვის, შესაბამის უწყებებშია გადაგზავნილი.

ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 25 ფაქტი დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს მასშტაბით, იმერეთში - 31 ფაქტი, გურიაში - 8, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში - 11, აჭარის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე - 24 ფაქტი, მცხეთა-მთიანეთში - 3 ფაქტი, შიდა ქართლში - 27, ქვემო ქართლის მასშტაბით - 32 ფაქტი, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე - 88 ფაქტი დაფიქსირდა.

ილია მარტყოფლიშვილი

პუშკინის ქუჩის მოასფალტებისთვის წელს 319 336 ლარი დაიხარჯება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 31 იანვრის სხდომაზე კენჭი უყარა და დაამტკიცა ცვლილება, რომელიც საკრებულოს დადგენილებაში შევიდა. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის N63 განკარგულების თანახმად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს დაემატა პროექტი - „ქ. დედოფლისწყაროში პუშკინის ქუჩაზე ასფალტის საფარის რეაბილიტაცია და პუშკინის ქუჩის რუსთაველის ქუჩასთან დამაკავშირებელ გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა“.

დედოფლისწყაროს მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განმარტებით, ამ პროექტის ღირებულება 319 336 ლარს შეადგენს.

„გასულ წელს თითოეული მოქალაქის გვერდში დგომით შევძელით და განვახორციელეთ არაერთი სასიკეთო პროექტი. ასევე, გასულ წლებთან შედარებით, დღეს უფრო ნაკლებ დედოფლისწყაროელს აწუხებს მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა და ღამით ჩაბნელებული ქუჩები. დღეს უფრო მეტ ჩვენს თანამოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს სკვერებით, საბავშვო ატრაქციონებით, დასასვენებელი პარკებით, სპორტული მოედნებითა და დარბაზებით,“ – განუცხადა „შირაქს“ ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

საკრებულომ ასევე დაამტკიცა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილებაში შესატანი ცვლილება, რომლის თანახმადაც სამსახურს დაემატა სტრუქტურული ქვედანაყოფი - „სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება“.

განყოფილების მიზანია განათლების, კულტურისა და სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების, მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკებისა და სხვა დაწესებულებების მართვის მონიტორინგი, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წინადადებებისა და მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება და სხვა. მერიის პრესსამსახურში განმარტავენ, რომ ცვლილებას საქართველოს ორგანული კანონით - ადგილობრივი თვითმმართველობის კოპდექსით დადგენილი შტატების რაოდენობის გადაჭარბება არ მოჰყოლია.

ილია მარტყოფლიშვილი

კოდექსი – ბავშვებისთვის!



საქართველო იწყებს იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც ქვეყანას გაეროს ბავშვთა კონვენციის ხელმოწერით დაეკისრა. ეს პროცესი შიდა კანონმდებლობის კონვენციასთან ჰარმონიზაციას გულისხმობს.

- კოდექსის ძლიერი და სუსტი მხარეები
- ბავშვზე ძალადობა
- გამოხატვისა და რელიგიური თავისუფლებები
- ბავშვები ადმინისტრაციულ დავებში

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად, შეიმუშავა დოკუმენტი, რომელიც ბავშვთა უფლებებს მოაწესრიგებს - დაფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ძალადობის აღმოფხვრა, გამოხატვის თავისუფლება, უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება, აღმსარებლობის თავისუფლება და სხვა.

კოდექსის ძლიერი და სუსტი მხარეები

პროექტის პრეზენტაციაზე თქვეს, რომ ეს „ამბიციური პროექტი“ „ბავშვების საუკეთესო ინტერესებზეა გათვლილი“, თუმცა, არასამთავრობო სექტორის ნაწილი თვლის, რომ კოდექსის პრაქტიკული განხორციელება რთული იქნება და მას დახვენა სჭირდება.

ბავშვის უფლებების კოდექსის პრეზენტაციის დასასრულს უფლებადამცველ ანა აბაშიძესა და კოდექსის ერთ-ერთ ავტორს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს, სოფიო კილაძეს შორის კამათიც მოხდა. საერთაშორისო ექსპერტების თანდასწრებით გამართული ეს კამათი “ტაბულას” ჟურნალისტმა გადაიღო.

ანა აბაშიძე ამბობს: „ხვალ რომ მივიღოთ კოდექსი, ის ხვალიდანვე ვერ მოახდენს პოზიტიურ გავლენას ბავშვთა მდგომარეობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს კანონი კონკრეტულ დავალებებს გასცემს ცალკეულ სამინისტროებზე. კანონი არის ძალიან დეკლარაციული. გარდა ამისა, აუცილებლად გამოინვევს ეს კოდექსი ბიუჯეტურ საჭიროებებს, რაზეც განმარტებით ბარათში ბევრს ვერაფერს ვხედავთ და დიდი აქცენტი არც შეხვედრებზე ყოფილა“.

გაეროს გარდა, კოდექსის პროექტი სახალხო დამცველის აპარატმაც შეაფასა. „კოდექსის ძირითადი ნაწილი პრინციპების დონეზეა, თუმცა, თუ კოდექსს თან მოჰყვება შესაბამისი ცვლილებები აღსრულების ნაწილში, როგორიცაა იურიდიული დახმარება, სოციალური სამსახურის გაძლიერება, რა თქმა უნდა, ამ კოდექსს ექნება პრაქტიკული მნიშვნელობაც“ - ამბობს სახალხო დამცველის მოადგილე ეკატერინე მსხილაძე.

ბავშვზე ძალადობა

ბავშვის უფლებების კოდექსის წარდგენამდე ერთი თვით ადრე, მცირეწლოვანი ბავშვის გარდაცვალებამ გააჩინა საზოგადოებაში კითხვა, ხომ არ იყო მიზეზი შესაბამისი სტრუქტურების უყურადღებობა, მაშინ, როცა 4 წლის გოგონა არაერთხელ გახდა მშობლისგან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი.

ეს თემა კოდექსის პროექტშიც მოხვდა. სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, ბავშვის ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან დასაცავად. კოდექსი იმ მშობლის, აღმზრდელისა და მასწავლებლის პასუხისმგებლობის საკითხსაც აყენებს, ვინც ბავშვს ფიზიკურად დასჯის, დაამცირებს ან არაადამიანურად მოეპყრობა. ეს იმის ფონზე, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის 2013 წლის გამოკვლევის თანახმად, მოსახლეობის 60%, ბავშვის აღზრდისას ძალადობრივ მეთოდებს ამართლებს.

„ბავშვებზე ძალადობა, სამწუხაროდ, ხშირია ბევრ საზოგადოებასა და ქვეყანაში“, ამბობს აარონ გრინბერგი გაეროს ბავშვთა ფონდის მრჩეველი ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. „ჩემი რჩევა იქნება, რომ იფიქროთ პასუხისმგებლობების განაწილებაზე ისეთ სექტორებში, როგორიცაა ჯანდაცვა და განათლება. თუ ისინი არ აიღებენ საკუთარ თავზე ამ პასუხისმგებლობას, ეს ყოველთვის გაართულებს ძალადობის აღმოჩენას“, – ამბობს UNICEF-ის რეგიონული წარმომდგენელი.

გამოხატვისა და რელიგიური თავისუფლებები

კოდექსში საუბარია ბავშვთა გამოხატვისა და რელიგიური თავისუფლების უფლებებზე. თუმცა ერთგვარად განსხვავდება გაეროს ბავშვთა კონვენციის ანალოგიური ჩანაწერებისგან. მაგალითად, ბავშვთა საერთაშორისო კონვენციაში წერია, რომ ბავშვს აქვს უფლება, აირჩიოს აღმსარებლობა. კონვენცია პატივს სცემს მშობლების უფლებასა და მოვალეობას, რომ მათ რელიგიური და მორალური ხელმძღვანელობა გაუწიონ შვილებს. ამავდროულად კონვენცია აღიარებს, რომ მოწიფულობასთან ერთად, ბავშვებს შეუძლიათ, ჩამოუყალიბდეთ საკუთარი შეხედულებები და ზოგმა, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს გარკვეული რელიგიური პრაქტიკა ან კულტურული ტრადიცია.

ქართული კოდექსის პროექტში კი წერია, რომ მშობლებს აქვთ უფლება, აღზარდონ ბავშვი საკუთარი მორალური და რელიგიური შეხედულებისამებრ და არაფერია ნათქვამი თავად ბავშვის რელიგიურ შეხედულებებზე. მხოლოდ ზოგადადაა მითითებული, რომ მშობელი ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა იცავდეს.

ბავშვთა უფლებადამცველი ანა აბაშიძე ფიქრობს, რომ ეს რიგ შემთხვევაში პრობლემებს, ქმნის, მაგალითად, მინდობით აღზრდის დროს. „შეიძლება მიმღებმა ოჯახმა მიიღოს ბავშვი განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობით, ექნება მას უფლება, რომ, მაგალითად, მისი ეთნიკური ღირებულებები უგულებელყოს. ეს არის ბავშვის თავისუფლების ნაწილი“, ამბობს ის.

ბავშვები ადმინისტრაციულ დავებში

ეს ერთ-ერთი მიმართულებაა კოდექსში, სადაც ბავშვების მიმართ კანონპროექტი საკმაოდ მაღალ სტანდარტს აწესებს. თუკი აქამდე მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას იყო აუცილებელი მოთხოვნა, რომ ბავშვთან არასრულწლოვნებზე სპეციალიზებულ ადვოკატს ემუშავა, ახლა სამოქალაქო დავების დროსაც აუცილებელი ხდება იგივე კვალიფიკაციის იურისტის ჩართულობა. ბავშვებზე სპეციალიზებული პირი უნდა მუშაობდეს ძალადობის მსხვერპლ და სახელმწიფო უზრუნველყოფის ქვეშ მყოფ ბავშვებთანაც. სპეციალისტების აზრით ეს ერთ-ერთი პოზიტიური ნაბიჯია ამ პროექტში.

კანონი ჯერ სამუშაო სახით არსებობს. ბავშვის უფლებების დასაცავად შემუშავებულ კოდექსს ყველაზე ადრე, 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე მიიღებენ. მანამდე კი პროექტის ავტორები საჯარო განხილვების გაგრძელებას გეგმავენ.

ბავშვთა დაცვა საზოგადოების უმთავრესი მოვალეობაა!...

ორიოდე კვირის წინ კიდევ ერთი შემზარავი ფაქტის წინაშე დადგა სრულიად საქართველო, როდესაც 4 წლის უმწეო გოგონა საკუთარი დედის ცემის და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა. პატარას ძალადობის კვალი მთელ სხეულზე აღენიშნებოდა, მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო. ამ ტრაგედიას თან სდევს ის ფაქტიც, რომ დედას შვილთან მიახლოვება აკრძალული ჰქონდა შესაბამისი ორგანოების მიერ, თუმცა, რა მოხდა იმ საშინელ დღეს, საერთოდ, რატომ დააბრუნეს ბავშვი მინდობითი აღზრდის ოჯახიდან ამ გაუსაძლის გარემოში, ამ და კიდევ ბევრ პასუხგაუცემელ კითხვებზე მიმდინარეობს გამოძიება.

დიდი ხანია, დროა, მსგავსი ფაქტებისგან პრევენციის მიზნით, ღია დისკუსია გავხსნათ საზოგადოებასთან, რადგან ასეთ თემებზე ტაბუს დადება არათუ კარგს არაფერს მოგვიტანს, არამედ შეიძლება სხვა დროსაც დავდგეთ მსგავსი ბოროტების წინაშე. ჩვენი რესპოდენტები დღეს გაგვცემენ კითხვებზე პასუხს:როგორი უნდა იყოს ბავშვის უფლებები დღეს ოჯახში და ოჯახისგან განცალკევებით, რა უფლებებით სარგებლობს ბავშვი მინდობით აღზრდით ოჯახში და ბიოლოგიურ ოჯახში ხელახლა დაბრუნების მიზეზებზე, რომელი ინსტიტუციები მუშაობენ დღეს ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკაზე, ბავშვთა დისკრიმინაციის შემთხვევებზე და გამოსავლის გზებზე, როგორია მაღალი რისკჯგუფების ბავშვებზე მუშაობის მეთოდები, რის მიხედვით იზომება ოჯახის მოწყვლადობის დონე, რის შემდეგაც ხდება აუცილებელი ბავშვის ოჯახისგან განცალკევება, რა ინფორმაციას ფლობს საზოგადოება შესაბამის ინსტიტუციებზე და ალტერნატიული მომსახურების სფეროებზე, ბოლოს, ხომ არ ჰქონდა ადგილი შესაბამისი სტრუქტურების უყურადღებობას, მაშინ როდესაც 4 წლის გოგონა არაერთხელ გახდა მშობლებისგან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, მაშინ, როდესაც სახელმწიფო მთლიანად პასუხისმგებელია ბავშვზე ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან დაცვაზე?

გესიკ გიგოლაშვილი, ფსიქოლოგი – საერთოდ, ნებისმიერი ბავშვის უფლებათა დაცვის რეალური მაჩვენებელი ყოველი საზოგადოების საურთიერთო კულტურისა და ერუდიცია, სამოქალაქო ღირებულებების სიმყარის ერთ-ერთი უმთავრესი საზომი ინდიკატორია. ბავშვის უფლებების დაცვა ერთმნიშვნელოვნად აქტუალურია როგორც საკუთარ ოჯახში, ისე ოჯახისგან განცალკევებულად აღზრდის შემთხვევაში, ანუ ორივე შემთხვევაში, სასურველია, მოხდეს მოზარდის ხასიათის თანდათანობით ფორმირება არა მხოლოდ როგორც ოჯახის წევრისა (შვილის, ძმის, დის და ა. შ.), არამედ, როგორც საზოგადოების მომავალი წევრისა და მოქალაქისაც.

სასურველია გვახსოვდეს, რომ ხშირად, ერთი შეხედვით უწყინარი შენიშვნა ან თუნდაც ხუმრობანარევი დაცინვა გარკვეულწილად შელახავს ხოლმე მოზარდი ბავშვის თავმოყვარეობას, მტკივნეულად შემორჩება მის მეხსიერებას და თუ მსგავსი ირონია ხშირად მეორდება, ადვილი შესაძლებელია, მოზარდის პიროვნების ფორმირების პროცესი შესამჩნევად შეფერხდეს...

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ე. წ. მინდობით აღზრდით ოჯახებში ხშირად უფრო არსებითად და მკაფიოდ არის დაცული ბავშვის უფლებები, ვიდრე საკუთარ ოჯახებში.

ეს უპირატესად გამოწვეულია მთლიანად ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებული და კულტივირებული აღზრდის პროცესის ნაკლები სოციალიზაციით, ე. ი. ჩვენს ოჯახებში, ნაკლებად გაცნობიერებულად, უფრო მეტად ვზრდით ბავშვებს მხოლოდ ოჯახის შვილებად, და–ძმად, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება მათი მომავალი მოქალაქის ჩამოყალიბების წინაპირობებს, ე. ი. ჩვენ ხშირად ბავშვი გვჭირდება უფრო მეტად, როგორც ჩვენი ოჯახის წევრი.

ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების გადაწყვეტილება, სასურველია, მიიღონ კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე (ანუ რამდენად მზად არის ოჯახი ბავშვის მისაღებად).

რამდენადაც ვიცი, სახელმწიფოს, როგორც სააღმზრდელო ინსტიტუციას, თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, შემუშავებული აქვს ბავშვთა უფლებების დაცვის სისტემა და, შეძლებისდაგვარად, ცდილობს მის განხორციელებას.

ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება რიგი არასამთავრობო თუ საქველმოქმედო ორგანიზაციების მცდელობანი, რამდენადმე დახმარება გაუწიონ ბავშვთა უფლებების დაცვას, თუმცა, ეს მხოლოდ ეპიზოდური მცდელობანია და, ჯერჯერობით, ნაკლებად სისტემური.

სამწუხაროდ, ბავშვთა დისკრიმინაციის გამოვლინებანი ხშირია და მეტად მრავალფეროვანი. ეს, ძირითადად, გამოწვეულია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სავალალოდ გაბატონებული სრულიად არაჯანსაღი ცხოვრებისეული პრინციპის დომინირებით.

ნებისმიერი წარმატების მიღწევა არა იმდენად საკუთარი შემოქმედებითი ძალების რეალიზების გზით, რამდენადაც სხვისი „შევიწროების“, დაჩაგვრისა და მისი (ან მათი) საქმიანობის შედეგად მიღებული მიღწევების დაუფლების გზით. მსგავსი, ე. წ. „მიტაცებითი“, ანუ „დაუფლებითი“ ცხოვრებისეული პრინციპი სრულებით ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საერთოდ, ისევე როგორც ნებისმიერი მოქალაქის, ისე კონკრეტულად, ბავშვის უფლებათა დაცვის ქვაკუთხედი და უმთავრესი საფუძველი უნდა იყოს „ქმნადობა“, ანუ „შექმნა“ რაიმე ნივთიერი, სულიერი თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღირებულებისა და არა სხვათა მიერ უკვე შექმნილის მიტაცება, რაც ყოველთვის გულისხმობს ხოლმე მოქალაქეების (მათ შორის – ბავშვების) უფლებათა არსებით დარღვევას.

ილია გელაშვილი, ურისტი გერმანიიდან – განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში, ემბრიონის ჩასახვიდან უკვე, როგორც ცოცხალ არსებას, ჩანასახს ისე იცავს კანონი, ხოლო მისი დაბადების დღიდან მას იცავს ბავშვთა დაცვის ორგანიზაცია და ასევე ბავშვთა სოციალური დახმარების სააგენტო. როცა ოჯახს პრობლემა აქვს ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, ძალადობა რომ არ მოხდეს, მშობელს შეუძლია, მიმართოს სოციალურ სააგენტოს და გამოუგზავნიან პროფესიონალ მუშაკს, რომელიც ოჯახში იმუშავებს იქამდე, სანამ აღნიშნული პრობლემა არ აღმოიფხვრება, რა თქმა უნდა, ხარჯებს ფარავს სახელმწიფო, თუ მოხდა ისეთი ფაქტი, რომ მშობლები ძალადობენ ბავშვზე, ეს ფაქტი ჯერ გაფრთხილებით შემოიფარგლება, ხოლო შემდეგ ბავშვის ჩამორთმევით და სპეციალურ თავშესაფარში გადაგზავნით, სადაც მოძალადე მშობლებს ხელი აღარასდროს მიუწვდებათ, ასევე განიხილება გაშვილება გულისხმიერ წყვილზე. მინდობით აღზრდას აკონტროლებს ბავშვთა სოციალური დაცვის სააგენტო, თუ ბავშვი გაშვილდა, მას მშობელი 90% შემთხვევაში ვეღარ იბრუნებს. აღსანიშნავია, ის ჩემთვის ყოვლად დაუშვებელი ფაქტიც, როცა ან ლესბოსელთა ოჯახს აშვილებენ ბავშვს ან ჰომოსექსუალ წყვილს და მთელი ცხოვრება დამახინჯებული ფსიქიკის მატარებელი ხდება. არის ბევრი ფაქტორი ბავშვის უკან, ოჯახში დასაბრუნებლად, არსებობს უამრავი გარემოებები, რასაც ვერ განვიხილავთ ასე ერთი ხელის მოსმით. მაგალითად, თუ ბავშვი ჩამორთმეულია, მის დასაბრუნებლად მშობლებს უამრავი ფული, ადვოკატები და წლობით გაწელილი სასამართლო პროცესები ელოდებათ.

ბავშვთა უფლებებზე, დღესდღეობით, მუშაობს შიდა ინსტიტუტები, როგორიცაა, სოციალური სამსახური, არასამთავრობო ორგანიზაციები, წითელი ჯვარი და საერთაშორისო ორგანიზაცია „Save the children“.

ბავშვთა დისკრიმინაცია დღეს განვითარებულ ქვეყნებში მკაცრად ისჯება კანონით. გამოსავალ თანამედროვე გზად დღეს აქ მიიჩნევა ფსიქოლოგის მუშაობა, როგორც ბავშვთან, ისე მშობლებთან პრობლემების აღმოსაფხვრელად. რაც შეეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის ბავშვებთან დაკავშირებულ პრობლემებს, დღეს გერმანიაში ბევრი საბავშვო ბაღი და სკოლა მათ ჯანმრთელი ბავშვების ჯგუფებში სვამს. თუმცა, ამ აზრს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. არსებობს რამოდენიმე ვარიანტი ბავშვის ოჯახიდან განცალკევების, ესენია:ძალადობა, დროის არქონა და სურვილის არქონა აღზარდოს ბავშვი. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, ბავშვის დაბადებიდან 18 წლამდე ყოველ ბავშვს სახელმწიფო უხდის თვეში 194 ევროს, რაც სრულიად საკმარისია ბავშვის გამოსაკვებად, ასევე ოჯახს შეუძლია, დამატებით გააკეთოს განაცხადი სოციალური დახმარების პაკეტთან დაკავშირებით და მიიღებს იმდენ დახმარებას, რამდენიც უზრუნველჰყოფს მის ნორმალურ პირობებში გაზრდას. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩამორთმეულ ბავშვს ოჯახი, უმეტეს შემთხვევში, ვერ იბრუნებს უკან, პირველი ვარიანტი ისაა, რომ არ ანდობენ, მეორე კი უკვე გაშვილებულია!

ფერიდე ტვილდიანი, მშობელი – როგორც ოჯახში, ასევე ოჯახისგან განცალკევებით, ბავშვის უფლებების დაცვას აქვს დიდი მნიშვნელობა მისი ზრდა- განვითარებისთვის. მინდობილ ოჯახებში ბავშვის უფლებები დაცულია თუ არა, ჩემი აზრით ამაზე უნდა იზრუნოს სპეციალურმა კომპეტენტურმა სამსახურმა, რომელიც ეტაპობრივად გადაამოწმებს ოჯახს, სადაც ხდება მინდობილი ბავშვის აღზრდა. ვფიქრობ, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც ამ ოჯახში იქნება აღმოფხვრილი ის ფაქტორები, რისთვისაც მოხდა ბავშვის სხვა ოჯახში ჩაბარება. ჩემთვის ამ ეტაპზე ცნობილია unicef-ი. ბავშვთა დისკრიმინაციის ფაქტებზე ხშირად მსმენია ჩვენს ქვეყანაში. მისი პრევენცია იქნება შესაბამისი სამსახურების მეტი აქტივობა და დროული ინფორმაციის მოპოვება - გამოვლენა. მე გამოვყოფდი სამ ფაქტორს, რისი არსებობის შემთხვევაში, გარდაუვალია ბავშვის გარიდება. ესენია- ნარკომანიის, პროსტიტუციის და ალკოჰოლიზმის მიმდინარეობა ოჯახებში, სადაც ირღვევა ბავშვის, როგორც უფლებები, ასევე, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

ირინა ფირმსანაშვილი, ფსიქოლოგი, პედაგოგი – ბავშვის უფლებების დაცვა ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც ოჯახში, ასევე ოჯახისგან განცალკევებით. მათ აქვთ უფლება, დაცულები იყვნენ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციისგან. “ბავშვის უფლებათა კონვენცია“კიდევ ერთხელ ადასტურებს მსოფლიოს მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა, ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ისევე როგორც ბიოლოგიურ ოჯახში, მინდობით აღმზრდელ ოჯახებში დაცული უნდა იყოს ბავშვის უფლებები, რასაც თვალყური უნდა ედევნებოდეს სისტემატურად. ჩემი აზრით, სასურველია, ბავშვი იზრდებოდეს ბიოლოგიურ ოჯახში, სადაც პრობლემების არსებობის დროს შესაბამისი სამსახურები მაქსიმალურად მოაწესრიგებენ და აღმოფხვრიან სირთულეებს.

დღეს ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკაზე მუშაობენ: სოციალური მომსახურების სააგენტო, ოჯახის ექიმები, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია, გაეროს ბავშვთა ფონდი, სახალხო დამცველის აპარატი, ბავშვის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები.

სამწუხაროდ, ბავშვთა დისკრიმინაციის უამრავ შემთხვევაზე მსმენია, ამასთანავე, ყველასთვის ცნობილია, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია კრძალავს ყველა სახის დისკრიმინაციას. მაღალი რისკის ჯგუფების ბავშვებთან სასურველია მუშაობდნენ, როგორც ოჯახის წევრები, ასევე სპეციალისტები ასაკისა და საჭიროებების გათვალისწინებით: მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ექიმი და სხვა...

სპეციალური სამსახურის მიერ კარგად უნდა შეფასდეს ოჯახის მოწყვლადობის დონე, სასურველია, გაეწიოს შესაბამისი დახმარება და განეული მომსახურების შემდეგ, ბავშვმა შეძლოს ბიოლოგიურ ოჯახში ცხოვრების გაგრძელება.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ლევან კობიაშვილი დედოფლისწყაროში

3 თებერვალს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კახეთის რეგიონს ეწვია. ლევან კობიაშვილმა ქალაქ დედოფლისწყაროში 90-იან წლებში განადგურებული ცენტრალური სტადიონი დაათვალიერა და იქ არსებული პრობლემებით დაინტერესდა. მხარეებმა ადგილობრივ სპორტის სამსახურებთან ერთად ფეხბურთის განვითარებაზე იმსჯელეს.

გაზეთი „შირაქი“ სულ ახლახან იუწყებოდა, რომ დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის აღსადგენად ევროკავშირის დაფინანსება უკვე გამოიყო. პროექტი წელს უნდა დასრულდეს და თანამედროვე სტანდარტის კომპლექსი აშენდეს. ამ სტადიონის რეაბილიტაცია 60 წელია არ ჩატარებულა. ლევან კობიაშვილმა და დედოფლისწყაროს მერმა სპორტული ინფრასტრუქტურის ეფექტურად განვითარების გზები დასახეს. განიხილეს დეტალები, თუ ყველა მხარის კოორდინირებული ჩართულობით ეტაპობრივად როგორ განვითარდეს დედოფლისწყაროში როგორც სპორტული ინფრასტრუქტურა, ისე ფეხბურთი.

ამავე დღეს ფედერაციის დაფინანსებით სოფელ ზემო მაჩხაანში ახალი სპორტული მოედანი გაიხსნა, რომელიც რამდენიმე სოფლის მაცხოვრებლებს მოემსახურება.

ლევან კობიაშვილი: „დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონს აბსოლუტურად სხვა დატვირთვა აქვს, დიდი ზომისაა. ეს იყო ტრადიციული მოედანი, რომელზეც წლების განმავლობაში ადგილობრივი გუნდი თამაშობდა. ადგილობრივ ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს მისი განვითარება. პირველ ეტაპზე გასახდელები, ტრიბუნები და ა.შ. საბოლოო ჯამში, დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივი შრომით, ერთიანი პროექტი შეიქმნება, რომლის ფარგლებშიც მოედანის საფარის შეცვლაც მოხერხდება. საერთო ჯამში მგონია, რომ ეს ყველაფერი ძალიან გამოადგება და სასარგებლო იქნება მთლიანად ამ რეგიონისთვის და განსაკუთრებით დედოფლისწყაროელებისთვის. ამ ყველაფრის ადგილზე სანახავად ჩამოვედი, ვისაუბრეთ დეტალებზე. ჩემი სურვილი იყო ზუსტად გამეცნო და მცოდნოდა რა იგეგმება აქ, სად შეგვიძლია დახმარება, როგორ ვხედავთ ჩვენს როლს, რომ ფედერაციაც ჩაერთოს ამ პროექტის განხორციელებაში.

რაც შეეხება ზემო მაჩხაანს, აქ სულ ცოტა ხნის წინ დავიწყეთ მინი საფეხბურთო მოედნის მშენებლობა. არაჩვეულებრივი გამოვიდა და დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივ და მეზობელი სოფლების ბავშვებს ყოველთვის შეეძლებათ ითამაშონ. გარშემო ბევრი დიდი სოფელია და მჯერა, რომ მიმდებარე სოფლებსაც მოიცავს. ზოგადად, მოთხოვნა ძალიან დიდი იყო, ბევრი ბავშვია და მიხარია, რომ ფეხბურთის ფედერაციამ შეძლო ჩვენი ფინანსური დახმარებით ეს არაჩვეულებრივი სივრცე შეგვექმნა. სასიხარულოა, რომ მოზარდებს საშუალება აქვთ, ითამაშონ და ისიამოვნონ ფეხბურთით, დახვეწონ საკუთარი შესაძლებლობები. თავისთავად, ასეთი ნაბიჯები ფეხბურთის განვითარებისთვის და რეგიონის გამოცოცხლებისთვის მნიშვნელოვანია. გასულ წელს ჩვენ დაანონსებული გვქონდა, რომ ძალიან ბევრ ინფრასტრუქტურულ პროექტს გავაკეთებდით, რაც წარმატებით განხორციელდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და ამ ხაზს წელსაც აქტიურად გავაგრძელებთ. სამომავლოდაც არაერთ საინტერესო პროექტს შევთავაზებთ“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „მოხარულები ვართ, რომ დედოფლისწყაროს ყველასთვის საყვარელი ფეხბურთელი და ახლა უკვე ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი სტუმრობდა, მას სურდა, ჩვენს გეგმებს გასცნობოდა. ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ არაჩვეულებრივი საჩუქარი გაუკეთა ჩვენს მუნიციპალიტეტს. ზემო მაჩხაანში თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო მინი საფეხბურთო მოედანი, ხელოვნურსაფრიანი სტადიონი გამოვიდა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სტადიონის გვერდით მომდევნო ორ წელიწადში ახალი სკოლის შენობა უნდა აშენდეს, ბევრად განვითარდება ეს ადგილი. სკოლას შენობაშივე ექნება სტადიონი, მაგრამ გარე მოედანი მათაც დაეხმარება და ორმაგად მნიშვნელოვანი იქნება. მადლობა მინდა გადავუხადო ფედერაციას ამ საჩუქრისთვის“.

ფედერაციის წარმომადგენლები დედოფლისწყაროდან თელავში გაემგზავრნენ, სადაც ლევან კობიაშვილმა კახეთის ყველა მუნიციპალიტეტიდან ფეხბურთის მწვრთნელები დააჯილდოვა. მთელი კახეთის რეგიონის მასშტაბით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, შესაბამის რეგიონულ ფედერაციასთან ერთად, ჯამში 52 მწვრთნელი გადაამზადა, რომლებიც ახლა უკვე ოფიციალურად **C** ლიცენზიის მფლობელები არიან.

დიპლომების გადაცემის ცერემონიაზე, შეხვედრის მონაწილეებმა კახეთში აქტიურად მიმდინარე საფეხბურთო პროცესებზე იმსჯელეს. მასპინძლებმა უკანასკნელ წლებში რეგიონში მიმდინარე სასიკეთო ცვლილებები განიხილეს და მათ შორის, ხაზგასმით აღნიშნეს ლაგოდეხის აკადემია, რომელშიც მთელი კახეთის რეგიონის გამორჩეული ბავშვები ეუფლებიან ფეხბურთს. შეხვედრის მონაწილეებმა სამომავლო პერსპექტივებიც შეაფასეს და ინფრასტრუქტურულ საჭიროებებზე ისაუბრეს.

„კახეთის რეგიონი პირველია, სადაც ჩატარდა გადამზადების კურსები, რაც ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ქართული ფეხბურთის სწორი განვითარებისათვის. არაერთხელ გვითქვამს, რომ ბავშთა ფეხბურთის პირამიდის ის ნაწილია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიფრთხილეს ითხოვს. სწორედ ბავშთა ფეხბურთის განვითარების პროგრამის ნაწილია იმ მწვრთნელთა გადამზადებაც, რომლებიც რეგიონებში ბავშვებთან მუშაობენ,“– აღნიშნა ლევან კობიაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

ელჩმა ჰერელებს საჩუქრები ჩაუტანა და მათი პრობლემებით დაინტერესდა

აზერბაიჯანში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ზურაბ პატარიძე აზერბაიჯანის შემადგენლობაში შემავალ ქართულ მიწაზე, ისტორიულ ჰერეთში მცხოვრებ ქრისტიანებს ეწვია. ელჩმა მოსახლეობას საჩუქრები ჩაუტანა. ეს ზურაბ პატარიძის პირველი ოფიციალური ვიზიტია საინგილოში. ჰერები საქართველოს ხელისუფლებას, მათ შორის ელჩს მუდმივად უყურადღებობაში ადანაშაულებენ. ადგილობრივები ხშირად აღნიშნავენ, რომ ყურადღების დეფიციტს ხშირად გრძნობენ როგორც ქართული ხელისუფლების, ისე ზოგადად, საზღვარს აქეთ დარჩენილი ქართველების მხრიდან.

ზურაბ პატარიძე კახის რაიონში 2 თებერვალს იმყოფებოდა, ელჩი წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში მსახურებას დაესწრო. ის ადგილობრივებს გაესაუბრა და მათი პრობლემები მოისმინა. ელჩთან ერთად ჰერეთში ჩავიდნენ ასევე გენერალური კონსული მამუკა ბალავაძე და საელჩოს სხვა წარმომადგენლები. დედოფლისწყაროდან ჰერეთში ჩავიდა და შეხვედრას ესწრებოდა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი კაპანაძე, რომელმაც საღამოს ლოცვა წმ. გიორგის სახელობის ტაძარში აღასრულა.

ზურაბ პატარიძე აზერბაიჯანში საქართველოს ელჩად გასული წლის 29 აგვისტოს დაინიშნა. ჰერელები საელჩოს მიმართ პრეტენზიებს ხშირად გამოხატავენ და ამბობენ, რომ ქართულენოვანი სახელმძღვანელოების და არაერთი სხვა პრობლემა დგას, ადგილობრივების დასახმარებლად კი ქართული მხარე არცთუ ეფექტურია. მოსახლეობა პატარიძის წინამორბედსაც ემდუროდა. უამრავი დაბრკოლების მიუხედავად ჰერელი ქრისტიანები კვლავაც ერთგულად ინარჩუნებენ ენასაც და სარწმუნოებასაც. ისინი საქართველოსგან მეტ ყურადღებას და ოფიციალური პირების ჰერეთში ჩასვლას, მეტ თანადგომას ითხოვენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!

ბოლო პერიოდში ერთ-ერთ დაუნდობელ დაავადებათა კატეგორიას განეკუთვნება სიმსივნე. მან არაერთი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, დააობლა უამრავი ბავშვი, დაამწუხრა ოჯახები... კიბო – ეს დიაგნოზი ბევრისთვის უკვე განაჩენია, რომლის იქითაც სიკვდილისკენ მიმავალი გზა იწყება. საბედნიეროდ, ბოლო დროს, მასთან ბრძოლა ბევრმა მოიგო და დაავადების დამარცხებაც შეძლო, თუმცა, ზოგიერთი თავადაც დამარცხდა. საზოგადოება მივიდა დასკვნამდე, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და კიბო განაჩენი არ არის!

მარიამ ი. სოციალურ ქსელში საკმაოდ ემოციურ სტატუსს აქვეყნებს:

– „ყველას გვაქვს ჩვენ–ჩვენი სი–სუსტეები და ჩემთვის ეს ჩემი თმა იყო. უარი ვთქვი ჩაფხუტის გამოყენებაზე.ოთხი კვირის წინ .ნელ–ნელა დაიწყო ნარბებმა ,ყვენა.შემდეგ ნაშნამებმა და ბოლოს თმამაც.შემეძლო შემენარჩუნებინა ,მაგრამ ასე გადავწყ–ვიტე.

ჰო და წახელ სულ, სულ გადავი–პარსე ჩემი ხელით და გულზე იმხელა ლოდი მომეხსნა. რა დროს ჩაფხუტია, როცა ჩემი ქვეყნის ქალების უმრავლე–სობას, უბრალოდ საჭირო მედიკამენტებ–ზე არ აქვთ წვდომა.არ იყო მატრაკვე–ცრების დრო, უბრალოდ, არ იყო და როცა ასობით ქალს დავპირდი, რომ ერთი ბრ–ძოლა გვქონდა და ყველას ერთად უნდა მოგვეგო ეს ომი, ეს პირველი იყო, რაც უნდა გამეკეთებინა.

ქიმიოთერაპიის დასრულების შემდეგ თმის გადაპარსვა ზოგისთვის ალბათ სი–გიჟეა, ჩემთვის სიმშვიდე და თანასწო–რობა!

კიბო განაჩენი არ არის, ის დიაგნო–ზია. რთულია გზა და დამღლელი, მა–გრამ ყველა გზა გადის გზაჯვარედინზე, ყველაფრიდან არის გამოსავალი.

წახანდელი ამბავი ჩემი მეორედ ომში შესვლაა,ოღონდ არა საკუთარში, ჩემსას უკვე მოვრჩი, თქვენს ბრძოლაში ჩაბ–მაა, ახლა მე ვარ თქვენი ჯარისქალი და ვკადნიერდები, რომ ჩემი გამოცდი–ლებით ვიმსახურებ მთავარსარდლობას, იმიტომ, რომ დაგაჯეროთ სასნაულების არსებობაში. დაგპირდით, რომ თქვენთვის ვიბრძოლებდი.ჰო და აქ ვარ! დიდი ხნის წინ უნდა გამეკეთებინა, საერთოდაც ამით უნდა დამენყო.

ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, სი–ცოცხლისთვის ბრძოლას – განსაკუთრე–ბით!

მიყვარხართ და ერთად ვუთხრათ სიმ–სივნეს არა!"

* * *

4 თებერვალი კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. ამ დღის მიზანი ერთია - ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის სიკვდილის პრევენცია.

რა მდგომარეობაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ზოგადად, როგორია ყველაზე ვერაგი დაავადების სტატისტიკა და მასთან ბრძოლის მეთოდები?

- კიბოსთან ბრძოლა ყოველდღიური პრობლემაა, მაგრამ 4 თებერვალი გამოყოფილია იმიტომ, რომ ამ დღეს მსოფლიოს ყურადღება პრობლემის გადაჭრისადმი იყოს მიპყრობილი. სტატისტიკის მიხედვით, ყოველწლიურად კიბოთი მსოფლიოში 14 მილიონი კაცი ავადდება და 8 200 000 კვდება, რაც ძალიან დიდი მაჩვენებელია და საშინელი რიცხვებია! ასე რომ, კიბო სამედიცინო პრობლემატიკას გასცდა და სოციალური პრობლემა გახდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ ავთვისებიანი სიმსივნით ყოველწლიურად დედამიწას 14 მილიონი ადამიანი აკლდება. ეს გახლავთ იმის საფუძველი, რომ მსოფლიომ განგაში ატეხოს და 4 თებერვალიც სწორედ ამას ემსახურება. აღნიშნულ პრობლემას მაქსიმალურად უნდა მივაქციოთ ყურადღება! კიბოს პოლიტიკოსებიდან დაწყებული, მეცნიერებით დამთავრებული, ყველა ებრძვის.

- საქართველოს ბოლო წლების სტატისტიკა რაზე მეტყველებს?

- გასულ წელს აჟიოტაჟიც იყო ატეხილი იმასთან დაკავშირებით, რომ ავადობამ ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად მოიმატა. ასე ნამდვილად არ ყოფილა. ვიცოდით, რომ საქართველოში ყოველწლიურად ავადობის 6-7 ათასამდე ახალი შემთხვევა იყო, მაგრამ უცხოელი კოლეგები გვეუბნებოდნენ, რომ არასწორი სტატისტიკით ვხელმძღვანელობდით. ყოველწლიურად 12 000 ავადობის მაჩვენებელი მაინც უნდა გქონდეთო, გვეუბნებოდნენ. საქართველოში პირველად გაკეთდა კიბოს რეგისტრი. ეს საბაზისო საჭიროებაა იმისა, რომ ონკოლოგიური დარგის მართვაზე იფიქრო. აღრიცხვიანობის მოწესრიგებამ გვიჩვენა, რომ ავადობის მაჩვენებელი 11 ათასს აღწევდა. აქედან დიაგნოსტიკის მომენტისთვის ნახევარი მაჩვენებელი მე-3, მე-4 სტადია იყო. ასეთ შემთხვევებში მკურნალობის ეფექტურობა მინიმალური, დახარჯული თანხები, როგორც სახელმწიფოსგან, ასევე ოჯახისგან კი მაქსიმალურია. ამის მიუხედავად, ვერ გეტყვით რომ ავადობის რიცხვი მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა და სხვაგან არა. ავთვისებიანი სიმსივნის რაოდენობა მთელ მსოფლიოში მატულობს, თუმცა ეს მატება დრამატული არაა. მეტსაც გეტყვით, ავადობის, მაგალითად ძუძუს კიბოს მაჩვენებელი, შეიძლება დასავლეთის ქვეყნებში უფრო მეტიც იყოს, თუმცა ადრეული დიაგნოსტიკითა და ხელმისაწვდომი მედიცინით სიკვდილიანობა მკვეთრად მცირდება, ჩვენთან კი ავადობის მატებასთან ერთად სიკვდილიანობის რიცხვიც მატულობს.

- ავთვისებიანი სიმსივნით ავადობის ყველაზე ნაკლები მაჩვენებელი რომელ ქვეყანაშია?

- რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, კიბოს ყველაზე ნაკლები მაჩვენებელი აზიის ზოგ ყვეყანაშია, თუმცა, ეს ავადობა შეიძლება სხვადასხვა ორგანოს, ძუძუს, კანის ან ფილტვის კიბოთი იყოს გამოწვეული. მაგალითად, კანის კიბოს ერთ-ერთი ყველაზე მეტი შემთხვევა, გამოსხივებისა და მზის იზოლაციის გამო ავსტრალიაშია. ძუძუს კიბოს მაღალი მაჩვენებელი – სკანდინავიის ქვეყნებში.

- ძუძუს კიბოს საქართველოშიც ბევრი ქალი ებრძვის.

- კი, ასეა. თუმცა, მერწმუნეთ, ამ მხრივ საქართველოში საგანგაშო მდგომარეობა არაა. დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ავადობის მეტი მაჩვენებელია. აშშ-ში, იტალიაში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში ავადობა მეტია, თუმცა პარალელურად ავთვისებიანი სიმსივნით გამოწვეული სიკვდილიანობა ადრეული დიაგნოსტიკის საფუძვლისა და დროული მკურნალობის დაწყებით მცირდება.

- კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა საქართველოში რამდენად შემცირებულია?

- სიკვდილიანობა საქართველოშიც მცირდება, რასაც ბევრმა ასპექტმა შეუწყო ხელი. ეს არის სკრინინგის შემოღების მძლავრი მექანიზმი. გაგვიჭირდება იმის თქმა, რომ ამით კიბოთი ავადობას ვერა, მაგრამ ადრეულ სტადიაში გამოვლენით სიკვდილიანობას შევამცირებთ. საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევაში ვაქცინაცია უფასო რომ იყოს, შეგვიძლია ავადობის მაჩვენებელი გავამესამედოთ მაინც, რასაც სახელმწიფოსგან დიდი თანხები სჭირდება.

- რა არის ავთვისებიანი სიმსივნის ხელშემწყობი ფაქტორები?

- სახელმწიფომ გარემოზე აუცილებლად უნდა იზრუნოს. ჰაერი არ უნდა იყოს დაბინძურებული, წარმოებებში ფილტრები უნდა განთავსდეს. სიგარეტზე აღარაფერს ვამბობ. ქალი დროულად უნდა გათხოვდეს, ფიზიოლოგიურად იმშობიაროს და არა საკეისრო კვეთით, შვილი ძუძუთი კვებოს. სწორი კვება და მოძრაობა! ადინამია, ისევე როგორც ჭარბი წონა, კიბოს ერთ-ერთი რისკფაქტორია. წლების წინ ამდენი ავტომობილი არ დადიოდა და ადამიანი ფეხით ბევრს მოძრაობდა. არც ამდენი ცხიმიანი საკვები არსებობდა, ბავშვებს დაბადებიდანვე არ აჭმევდნენ მძიმე პროდუქტებს და ადამიანი სტრესულ გარემოში არ ცხოვრობდა.

- ავთვისებიანი სიმსივნის გამოწვევას კიდევ სხვა უამრავი მიზეზით ხსნიან...

- სამწუხაროდ, დღემდე არ ვიცით კონკრეტული მიზეზი იმისა, თუ რა იწვევს კიბოს. უამრავი თეორია არსებობს და ყველას აქვს თავის სიმართლის კოეფიციენტი. ამიტომ, ერთი მიზეზის გამოყოფა ძალიან გვიჭირს. თუ ჩვენ რამდენიმე მიზეზს მაინც მივაგნებთ, მაშინ ეს პრობლემა გადაჭრილია. რომელიმე რისკ-ფაქტორის მოცილებით ან ცხოვრების წესის შეცვლით ჯაჭვს გავწყვეტთ და ნულამდე თუ არ დავიყვანთ ავადობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დრამატულად შევამცირებთ. ადრეულ დიაგნოსტიკაზე ხშირად ვსაუბრობთ. თუ კიბო დროულადაა აღმოჩენილი, ისეთივე განკურნებადი დაავადებაა, როგორც სხვა.

- რომელ სტადიებზეა საუბარი?

- პირველი და მეორე სტადიის საწყისი, ადრეული ეტაპია. ასევე დროულია კიბოს წინა დაავადებების დადგენა, რომელთა ფონზე ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკი ბევრად მაღალია. ეს გახლავთ ეროზიები, წყლულოვანი დაავადებები და ნებისმიერი ქრონიკული ანთება.

- გარდა იმისა, რომ მედიკოსები ადამიანებს ადრეული დიაგნოსტიკისკენ მოუწოდებენ, კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის სხვა რა მეთოდები გვაქვს?

- უამრავი ახალი პრეპარატი იქმნება. საქართველოსა და მსგავსი ქვეყნის ექიმები თავს ვიწონებთ, რომ დიდი მასშტაბის ოპერაციებს ვაკეთებთ. უცხოეთში გვაქებენ, როგორც ექიმებს, რომლებსაც ტექნიკურად შეგვიძლია ასეთი ოპერაციები განვახორციელოთ, მაგრამ დიდ გაკვირვებას იწვევს. აინტერესებთ, რატომ მიგვყავს საქმე აქამდე. დასავლეთის ქვეყნებში მსგავსი შემთხვევები თითქმის არ არის, რადგან იქ ადრეულ დიაგნოსტიკას მიმართავენ.

- ჩვენს ქვეყანაში დროულ დიაგნოსტიკას რა მიზეზებით არ მიმართავენ?

- ექიმთან მისვლას მხოლოდ კულტურა არ სჭირდება. ჩვენთან ადამიანებს, ფინანსურის გარდა, გეოგრაფიული პრობლემაც აქვს. შეიძლება რაიონიდან თბილისში ან თუნდაც სხვა ქალაქში ჩასვლა დაეზაროს. ასე მიჰყავთ დაავადება იმ სტატიამდე, როცა შებრძოლება უკვე რთულია. რასაკვირველია, პირველ რიგში ჩვენი მენტალობა უნდა შეიცვალოს. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჯანმრთელობა ყველაზე დიდი ფასეულობაა, რაც გაგვაჩნია. ჯანმრთელობაზე ზრუნვა ეკონომიკურადაც მომგებიანია. ექიმთან დროულად მისვლა ნაკლებ ხარჯთანაა დაკავშირებული.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

იაპონიის საელჩოს ვიზიტი წითელ ჯვარში

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც დედოფლისწყაროში პირველადი ჯანდაცვის კლინიკის სახით არის წარმოდგენილი, ჩამოყალიბდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოში იაპონიის საელჩოს დახმარებით. იაპონიის საელჩომ კლინიკას 120 000 დოლარის ღირებულების აპარატურა აჩუქა, რომლითაც ის დღეს მუშაობს და ემსახურება მოსახლეობას.

6 თებერვალს, იაპონიის საელჩოს წარმომადგენლები, ყოველწლიური მონიტორინგის ფარგლებში, დედოფლისწყაროს ადგილობრივ ორგანიზაციას ესტუმრნენ. ვიზიტის ფარგლებში, საელჩოს წარმომადგენლებმა შეამოწმეს აპარატურა, თუ რამდენად გამართულია ის და როგორ მუშაობს ექიმების გუნდი მოსახლეობასთან. **საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, წითელი ჯვრის პირველადი ჯანდაცვის კლინიკის მენეჯერი** ნათელა თამაზაშვილი გაზეთ „შირაქთან" საუბრისას, აღნიშნავს, რომ მონიტორინგმა წარმატებით ჩაიარა. შემოწმდა ექიმების გუნდის მუშაობა, კლინიკაში მყოფი მოსახლეობის მომსახურების ხარისხი, რომელთაც უტარდებოდათ ულტრაბგერითი და კარდიოლოგიური გამოკვლევა, შაქრისა და საერთო ანალიზი. მისივე განცხადებით, საელჩოს წარმომადგენლები კლინიკის მდგომარეობით საკმაოდ კმაყოფილები დარჩნენ. მომუშავე პერსონალმა მადლობაც დაიმსახურა არსებული კარგი მდგომარეობის და გაწეული სამუშაოს გამო. „ საელჩოს წარმომადგენლები პაციენტებს, ექიმებს, მერიის წარმომადგენელს და მეც გამესაუბრნენ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მათ ინტერესს წარმოადგენდა. იყო შემოთავაზება ახალ საგრანტო პროექტში ჩართვის შესახებ, რომელიც GGP ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამაა და მისი მოცულობა 70 000 აშშ დოლარს შეადგენს. იაპონიის საელჩოს წარმომადგენლები სამომავლოდ აქტიურად გვერდში დგომას კვლავაც დაგვპირდნენ" - განაცხადა ნათელა თამაზაშვილმა.

GGP ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა ერთ წლიანი ან ნაკლებ დროზე გათვლილი პროგრამაა. გრანტის მიღება შეუძლიათ არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაციებს, კერძოდ: ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს და მუნიციპალიტეტებს (მერია).გრანტის თანხით შესაძლოა დაფინანსდეს მშენებლობა/რეაბილიტაცია, მძიმე ტექნიკის შეძენა (მინიმუმ 20-წლიანი საექსპლუატაციო ვადით, ტრენინგები (მხოლოდ იმ შემეთხვევაში, თუ პროექტის განუყოფელი ნაწილია და აუცილებელია ძირითადი პროექტის განხორციელებისთვის და მისი ოდნეობა არ აღემატება პროექტის 5%-ს). პროექტი უნდა ემსახურებოდეს მწვავე პრობლემის გადაწყვეტას მოწყვლადი ჯგუფებისთვის, ის უნდა შეესაბამებოდეს სტრატეგიულ მისწრაფებებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, უნდა იყოს სოციალური ხასიათის და არაკომერციული ინტერესის მატარებელი, მან პირდაპირი სარგებელი უნდა მოუტანოს მინიმუმ 100 ადამიანს. საპროექტო განაცხადი შესრულებული უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. მისი წარდგენის საბოლოო ვადაა 10 აპრილი, 15:00. **განაცხადის წარდგენა შესაძლებელია შემდეგ ელ.ფოსტაზე:** grassroot2@tb.mofa.go.jp

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ახალი კვლევის შედეგები

სურსათის უვნებლობა ის საკითხია, რომელიც აქტუალურობას არასოდეს კარგავს. სურსათთან დაკავშირებული ყველა თემა საზოგადოების მხრიდან ყველაზე ემოციურად და მძაფრად აღიქმება, რადგან ის ჩვენს კვებას, შემდგომ კი ჯანმრთელობას ეხება. სურსათის უვნებლობის შემოწმება კი სურსათის ეროვნულ სააგენტოს კომპეტენციაა, რომელმაც 2018 წელს აღებული ნიმუშების მიხედვით ახალი კვლევის შედეგები გაასაჯაროვა. კვლევამ, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა, აღწერილია სხვადასხვა სახის სურსათში ტყვიის შემცველობა, ნორმები და დარღვევები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 1176 ნიმუშიდან, რაც საერთო რაოდენობის 2%-ს შეადგენს, ტყვიის ნორმასთან შეუსაბამობა 23 შემთხვევაში გამოვლინდა. სურსათის ეროვნული სააგენტო ცხოველური და არაცხოველური წარმოშობის სურსათსა და სასმელ წყალში მძიმე მეტალების, მათ შორის ტყვიის შემცველობაზე კვლევებს ინტენსიურად ატარებს. 2018 წელს სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, აკრედიტირებულ ლაბორატორიაში გამოკვლეულია 1176 ნიმუში, მათ შორის:

- რძის და რძის ნაწარმის - 82;
- ხორცის და ხორცპროდუქტების - 335;
- თევზის და თევზის პროდუქტების - 47;
- კვერცხის - 68;
- ბავშვთა კვების პროდუქტების - 48;
- სუნელ-სანელებლების - 137;
- თაფლის - 11;
- სასმელების - 108;
- პურპროდუქტების, ბურღულეულისა და ბოსტნეულის - 340;

სურსათის ეროვნული სააგენტოს კვლევის თანახმად, ტყვიის შემცველობა ნორმას არ აღემატება ბავშვთა კვების პროდუქტებში, თევზში, პურპროდუქტებში, ბურღულეულსა და ბოსტნეულში. გასულ წელთან შედარებით, კვლევამ აჩვენა, რომ ტყვიის გადაჭარბებული ოდენობა არ გამოვლენილა ხორცის ნიმუშებში. დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობა აღინიშნა ნედლი რძის 15 და სუნელ-სანელებლების 8 ნიმუშში (2017 წელს სუნელ-სანელებლებში 33 დარღვევა დაფიქსირდა).

სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, დარღვევის შესახებ შესაბამის სამსახურებს ეცნობა და პროდუქციის ამოღებაზე ზედამხედველობა სურსათის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა. მათივე ინფორმაციით, სურსათში ტყვიის შემცველობაზე აღებულ ნიმუშებში დარღვევის რაოდენობის შემცირება განაპირობა, ბაზრის კონტროლის გააქტიურებამ და რეგიონებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებამ.

მასალა მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

აივ ინფიცირების 40 ახალი შემთხვევა

ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ინფორმაციით, იანვარში 40 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა.

მათივე ინფორმაციით, საქართველოში 7474 აივ ინფიცირებული პირია რეგისტრირებული, მათ შორის 5599 — მამაკაცი, 1875 — ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 39 წლამდეა. შიდსი 3969 პაციენტს განუვითარდა, 1523 გარდაიცვალა.

აივ მკურნალობას იტარებს 4597 პაციენტი, მათ შორის 43 — ბავშვია.

„რეგისტრირებულ შემთხვევათა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით ასეთია: 39.9 % (2968) - ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია; 46.4 % (3458) - დაინფიცირდა ჰეტეროსექსუალური კონტაქტის შედეგად; 11.2 % (836) - მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცთან; 1.4 % (105) - დაინფიცირდა ვერტიკალური გადაცემის გზით; 0.5 % (36) - სისხლის რეციპიენტია; 0.7 % (50) - გადაცემის გზა დაუდგენელია.

აივ ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა რეგისტრირებულია თბილისში (2726 შემთხვევა); სამეგრელოში - 947 (აქედან ზუგდიდში - 630); იმერეთში - 924 (ქუთაისი 451); აჭარაში - 834 (ბათუმი — 533); აფხაზეთში - 473; კახეთში - 358, ქვემო ქართლში - 385; შიდა ქართლში - 279; გურიაში - 157; ფოთში - 110; სამცხე-ჯავახეთში - 107 და ა.შ.

ბოლო წლებში აივ ინფექცია/შიდსის ახალ შემთხვევათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღინიშნება ახალ შემთხვევათა სტაბილური ზრდის ტენდენცია: 2014 წელს - 564; 2015 წელს - 717; 2016 წელს - 719; 2017 წელს - 631, 2018 წელს - 672“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ხსოვნა

ნიკოლოზ მამაიაშვილი

„კაცი ლეგენდა“ ამ სიტყვებით მიმართა წითელწყაროს რაიონული აქტივის კრებაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირვრლმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ, რესპუბლიკაში ცნობილი კოლმეურნეობის თავჯდომარეს, სოციალიტური შრომის გმირს, მრავალი ორდენის და მედლის მფლობელს ნიკო მამაიაშვილს, მისი 75 წლის საიუბილეო საღამოზე, რომელიც ზემომაჩხაანის სასოფლო კულტურის სახლში გაიმართა. საიუბილეო კომისიის თავჯდომარე შოთა ჭანუყვაძე გახლდათ. ბევრი თბილი სიტყვა ითქვა მართლაც ამ ლეგენდარულ ადამიანზე. ახლაც კარგად მახსოვს მახარაძელმა მიხაკო ორაგველიძემ სულ ერთი წინადადებით რომ მიმართა; დასავლეთ საქართველოში მიხაკო ორაგველიძე რომ არ ვყოფილიყავი, აღმოსავლეთ საქართველოში ნიკო მამაიაშვილობას ვინატრებდიო. ნიკოლოზ მამაიაშვილს 5 თებერვალს დაბადებიდან 117 წელი შეუსრულდებოდა. მისი მოღვაწეობის პერიოდში სოფელი ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა ერთ-ერთი გამოჩენილი იყო არა მარტო ჩვენს რაიონში, არამედ მთელ საქართველოში. ნიკო მამაიაშვილმა თავისი სამსახურეებრივი კარიერა გააგრძელა სოფლის მეურნეობის დარგის პროფკავშირების რაიონულ საბჭოში, სადაც იგი 13 წელი მთელი გულისხმიერებით ემსახურა რაიონის პროფკავშირების საქმიანობას, ერთ-ერთი წარმატებული დარგის პროფკავშირები ვიყავით საქართველოს მასშტაბით.

ბატონი ნიკო იყო არაჩვეულებრივი, გულისხმიერი ხელმძღვანელი თანამშრომლების მიმართ. ყველა თანამშრომლის დაბადების დღე ჩანიშნული ჰქონდა და სამსახურში, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, (იმ დროს აგროსამრეწველო გაერთიანების შენობაში იყო ჩვენი სამსახური ტაბიძის ქუჩაზე) გაერთიანების თავმჯდომარე ვანო ფიროსმანაშვილთან ერთად გვიწყობდნენ საიუბილეო ღონისძიებებს. ადამიანს ყოველთვის ორი მნიშვნელოვანი თარიღი აქვს – დაბადების და გარდაცვალების. ბატონი ნიკო 5 თებერვალს დაიბადა და 5 თებერვალს გარდაიცვალა. სამგლოვიარო კომისიის თავჯდომარე ბაკურ გულუა, მაშინდელი სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი, გახლდათ. 9 თებერვალს დაიკრძალა ბატონი ნიკო დედოფლიოსწყაროს სასაფლაოზე. მისი ერთადერთი შვილი, ბატონი ვაჟა, თავის ვაჟიშვილებთან ნიკოსა და კახასთან ერთასდ ყოველწლიურად აღნიშნავენ სახელოვანი მამის და პაპის დაბადების და გარდაცვალების დღეს.

ბატონი ნიკო დღესაც თითოეულ ჩვენს თანამშრომელს ძალიან გვეძვირფასება და გვახსოვს.

სოფლის მეურნეობის დარგის პროფკავშირების რაიონული საბჭოს და სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები.

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დალი ალადაშვილს დედის
მაყვალას
გარდაცვალების გამო.

ა(ა) იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დალი ბენაშვილს დედის
ნინას
გარდაცვალების გამო.

არბოშიკს და კოტაანს

ზღვარი არ გ ასდევს ორ სოფელს შორის,
ორივ ერთურთთან არის შერწყმული,
მშრომელი ხალხის არის სავანე,
ჭირში და ლხინში გ ანუყოფელი.
აქ აღიზარდნენ მამულიშვილნი,
სოფელს შესწირეს ღონე და ძალი,
ბატივსა სცემდნენ ერთურთ სიყვარულს,
არ გ აჩენილა მათ შორის ბზარი.
მათით ამაყობს მხარე ქიზიყის,
სოფელს ახარებს თვისი ღირსება,
აქ ეზიარნენ ტკბილ იავნანას
აქ გ ანიმტკიცეს კარგი თვისება.

დავით ნატროშვილი **სახალხო მთქმელი, სოფელი ზემო მაჩხაანი.**

კროსვორდი



შვეულად: 1. შინაური ფრინველი, რომლის კვერცხის ნაჭუჭი განსაკუთრებით მტკიცეა 2. ჯგუფ "დიიფ ფარფლის" სოლისტი იან ...; 3. რომელი ბალნისგან ამზადებენ კბილის ჯაგრისებს 4. ყველაზე მტკიცე მინერალი. წარმოადგენს გრაფიტისა და მურის სახესხვაობას 6. ჰოლანდიაში, რომელ პროდუქტს ფარავენ ცვილით 7. თვალის ფერადი გარსის ანთება 12. წინაღობის შებრუნებული სიდიდე 13. შუა საუკუნეებში, რომელი პროფესიის ადამიანი ითავსებდა ქირურგის მოვალეობას 14. რას უდრის 1000მმ 15. რომელი ლითონისგან შედგება დედამიწის ბირთვი 16. ქალაქი, რომელიც ტოკიოომდე ქვეყნის დედაქალაქი იყო 17. ინერტული აირი. იყენებენ შუქრეკლამებში 18. ძირითადად რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე სახლობდნენ უძველესი ინკები 19. ჯიხვების ჯოგი 23. ჯგუფი ადამიანების, რომლებიც ბურჟუაზიური ქვეყნების თეატრებში დაქირავებული ჰყავდათ ტაშის დასაკრელად 24. ქალაქი, სადაც დაწვეს ჯანა დ,არკი 25. რაიმეს საზომი დანაყოფებიანი ციფერბლატი 27. ცეკვისას მოძრაობათა პერიოდული მონაცვლეობა 28. ქმრის ძმა 29. გამოუწვავი აგური, რომლითაც ბაბილონში შენობებს აგდებდნენ 30. კომპოზიტორი ... მორიკონე.

თარაზულად: 5. ნივთიერება, რომლის მოლეკულა შედგება წყალბადის ორი და ჟანგბადის ერთი ატომისგან 8. საფრენი აპარატი, რომელსაც თავდაპირველად წყალბადით ავსებდნენ, რაც ხშირი კატასტროფების მიზეზი იყო 9. წარმართული ღვთაების ქანდაკება 10. ქალაქი, რომელიც 1921 წელს კახთან ერთად გადაეცა აზერბაიჯანს 11. აცტეკების ამ მარცვლოვან მცენარეს მაისას უწოდებდნენ 14. ერთადერთი მაიმუნი, რომელსაც დღისით სძინავს და ღამით ფხიზლობს 20. რომელი ნოტის ჟღერადობის მიხედვით იწყობა ორკესტრის ინსტრუმენტი 21. მათემატიკის რომელი ნაწილის ფუნქციებია სინუსი და კოსინუსი 22. ყმაწვილი, რომელსაც ცვილის ფრთები მზის სიმხურვალემ დაუდნო და ზღვაში დაიხრჩო 26. ორგანიზმის მოწამვლა თირკმლების დაავადების დროს 31. სუსტად გამოხატული მაგნიტური თვისებები, ანუ ... 32. კომპოზიტორი ... კვერნაძე 33. ნილოსის ღმერთი.

მონატრება

თევდორე წიკლაური

ვაი, რომ ყოველი სიტყვა უძლურია შვილმკვდარი მშობლებისა და შვილიშვილმკვდარი ბებიის და ახლობლების სანუგეშებლად, როცა უსაშველო ტკივილი გტანჯავს. ორმოცი გაუსაძლისი დღე გავიდა უშენოდ, გენაცვალოს ბებო. გვენატრები ყველას, ჩვენო პატარა ანგელოზო, ყველაზე დიდო და დაუვიწყარო ტკივილო, ვსწავლობთ და ვეგუებით შენს გარეშე ცხოვრებას, ყველაზე ტკბილო და თბილო მოგონებავ. გვენატრება შენი სევდიანი ღიმილი. ენატრები მათეს, სულ შენს ხსენებაშია, ზეცაში ანგელოზებთან არისო? ნათია გვიკრძალავს ტირილს- ნუ ტირიხართ, ღმერთთან არის თევდორეო!

ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა, ჩვენო პატარავ, ილოცე შენი მშობლებისა და ნათიასათვის.ჩვენ კი სანთელ-საკმეველს არ მოგაკლებთ, ჩვენო დიდო მონატრებავ.

ბებია მზია კვანჭილაშვილი, ***პაპა*** ვასილ ტუხაშვილი, ***დეიდა*** იანა, ***დეიდაშვილი*** მათე.

ა(ა) იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნათია დუღაშვილს პაპის
ვასილ საგიაშვილის
გარდაცვალების გამო.

ა(ა) იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გიორგი მკერვალიძეს დედის
ჟენიას
გარდაცვალების გამო.

წარმატებული სტარტი

წელიწადზე მეტია, რაც კახეთის რეგიონში ფეხბურთის განვითარებისთვის ფედერაციამ საფეხბურთო აკადემია გახსნა. ასეთი სასწავლო ცენტრი ქვეყანაში ჯერ მხოლოდ სამია. ის რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტს ემსახურება და მისი ამოქმედების მთავარი მიზანიც ის იყო, რომ ფეხბურთით დაინტერესებულ მოზარდებს სპორტის ამ სახეობის საფუძვლიანად შესწავლა საკუთარ რეგიონში, თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ აკადემიაში შეძლებოდათ. ეს მოდელი რეგონში ყველაზე ძლიერი მოზარდების განვითარებისთვის შეიქმნა და იქ მოხვედრა ყველა მსურველს არ შეუძლია.

ნოდარ ახალკაცის სახელობის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აკადემიაში დედოფლისწყაროდან პირველივე წელს სოფელ ზემო მაჩხაანში მცხოვრები 15 წლის ლუკა ნატროშვილი ჩაირიცხა. ის უფროსი ასაკის სპორტსმენებში მოხვდა და ერთწლიანი სწავლება გაიარა. წელს კი აკადემიაში ქალაქ დედოფლისწყაროდან 13 წლის გიორგი შეითნიშვილი მოხვდა, რომელიც ორწლიან სწავლებას გაივლის. ისინი აკადემიის საცხოვრებელში ცხოვრობენ და სახელმწიფო, ცხოვრების გარდა, კვებასა და სხვა ხარჯებსაც უფინანსებს.

ორივე სპორტსმენი **ზურაბ ჩალაბაშვილის** აღზრდილია, ამიტომ დედოფლისწყაროელი მწვრთნელი სიამაყით გვიყვება, რომ მათი აკადემიაში მოხვდრა დიდი სპორტული კარიერისთვის ყველაზე კარგი სტარტია. ის ორივე მათგანში ხედავს იმ მონაცემებს, რომლთა სწორად განვითარების შემთხვევაში მათ საუკეთესო მომავალი ელით.

ლაგოდეხში მოქმედი აკადემიის აღმზრდელი და მწვრთნელი დედოფლისწყაროელ სპორტსმენებს დადებითად ახასიათებენ. ორივე მათგანის მწვრთნელი **გიორგი ნუსხელიძეა,** ის მათი პოტენციალით კმაყოფილია და ამ ბიჭების მომავალს იმედიანად უყურებს. აკადემიაში ამბობენ, რომ საბოლოო პროგნოზის გაკეთება ჯერ რთულია, თუმცა, თუ მოზარდებმა ასე გააგრძელეს, წინ ბევრი წარმატება ელით.

„შირაქმა“ ორივე მათგანთან გასაუბრება შეძლო, კმაყოფილება ორივე დედოფლისწყაროელ სპორტსმენს ეტყობა. საბოლოოდ, ორივე დიდ წარმატებებს უმიზნებს.

ლუკა ნატროშვილი **(ფეხბურთელი):** „ფეხბურთი ბავშვობიდან მომწონდა, აღარც მახსოვს, როდიდან, მაგრამ დიდი ხანია მოხიბლული ვარ. უფრო პაპას დამსახურებაა, რომ ფეხბურთი ავირჩიე. მან უდიდესი ბიძგი მომცა. მეც ავყევი და მას მერე იგივე სურვილები მამოძრავებდა. მახსოვს, რონალდო მომწონდა, „რეალს“ ვგულშემატკივრობდი. ძნელია, ავხსნა, რატომ მაინცდამაინც ფეხბურთი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ფეხბურთი ყველა სხვა სპორტზე მეტია. როცა პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, მომწონდა, რომ ბურთის თამაშის დროს სხვას ვატყუებდი და ეს სიამოვნებას მანიჭებდა, ამით მიმიზიდა. ფეხბურთში თვისებები უნდა მოგწონდეს, რონალდოს თვისებები ძალიან მომწონს. ის ძალიან შრომისმოყვარეა, შრომის და მონდომების გარეშე არაფერი გამოვა. აკადემიამ საფეხბურთო სწავლების კუთხით ძალიან დიდი განათლება მომცა. ჩემთვის ბევრს ნიშნავს, რომ იქ მოვხვდი. არ მიფიქრია იმაზე, რომ ამხელა რაიონიდან აკადემიაში პირველი მე მოვხვდებოდი, მაგრამ კონცენტრირებული ვიყავი მიზანზე, ვცდილობდი, ბოლომდე მეშრომა და ჩემი მთავარი ოცნება ამეხდინა. მე ვთამაშობდი დედოფლისწყაროში, შემდეგ ტიბაანის გუნდში, ბოლოს კახეთის ნაკრებშიც ვიყავი და ამის მერე აღმოვჩნდი ლაგოდეხის აკადემიაში. მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროს გუნდი ბოლო წლებში დაიშალა, ამიტომ ტიბაანის გუნდში გადასვლა და იქ სიარული მომინია. თბილისში გადასვლა მინდა, სამომავლოდ ვგეგმავ კარგ კლუბში ვითამაშო და ჩემი ოცნება ავიხდინო. არასდროს დავკმაყოფილდები ჩემი მიღწევებით, ჩემთვის მაქსიმალური მწვერვალი არ არსებობს, ჩემთვის უმთავრესი მხოლოდ განვითარებაა, რისთვისაც ძალებს არ დავზოგავ“.

პირობებით კმაყოფილია აკადემიის კიდევ ერთი მოსწავლე 13 წლის გიორგი შეითნიშვილი. გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ისიც სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

გიორგი შეითნიშვილი **(ფეხბურთელი)**: „საუკეთესო პირობები გვაქვს, ყველაფერი მოწესრიგებულია საიმისოდ, რომ კარგად ვისწავლოთ. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ჩემთვის ძალიან დიდი სტიმულია და აქ ყოფნა მართლა ბევრს ნიშნავს. მეამაყება, რომ რაიონს ვასახელებ და ამისათვის თავს და შესაძლებლობებს არ დავზოგავ. ძალიან მადლიერი ვარ ზურაბ ჩალაბაშვილის, ბევრი იშრომა, რომ შედეგი მიეღო და დღემდე მოვსულიყავი. გამიმართლა, ასეთი ტრენერი რომ მყავს. რაც შეეხება დღის რეჟიმს. დილით 8 სათზე გვაღვიძებენ, ცხრის ნახევარზე საუზმე გვაქვს, 9 სათისთვის ავტობუსი მოდის და სკოლაში მივყავართ. ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლაში ვსწავლობთ. დახლოებით 3 საათზე ავტობუსს უკან მოვყავართ. ვსადილობთ და შემდეგ გვაქვს ვარჯიში. ვარჯიში გრძელდება საათსა და 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ აბაზანას ვიღებთ. შემდეგ თავისუფალი დრო გვაქვს, ამ დროში გაკვეთილების მომზადება უნდა მოვასწროთ ვახშამდე. ვახშამი გვაქვს 20:00 საათზე. ვახშამის შემდეგ უკვე მობილურებს გვიბრუნებენ და თერთმეტის ნახევრამდე შეგვიძლია ტელეფონებით ვისარგებლოთ. შემდეგ ტელეფონებს ისევ ვაბარებთ და ღამის ლოცვას ვკითხულობთ. ასევე დილით საუზმემდე აუცილებლად იკითხება დილის ლოცვა და მამაო ჩვენო“.

გასულ კვირას, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა დედოფლისწყაროში ვიზიტისას ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ასეთი აკადემია ქვეყნის მასშტაბით ჯერ სულ რამდენიმე რეგიონს აქვს და მათ შორის კახეთი ერთერთი პირველი იყო. ამდენად, კახელი მოზარდები მაღალი დონის ინფრასტრუქტურით და კარგი პირობებით განებივრებულნი არიან. ფედერაცია ცდილობს, ფეხბურთით დაინტერესებულ მოზარდებს სტიმული მისცეს და პროფესიული უნარების განვითარებისთვის ყველა პირობა შეუქმნას. კობიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ექსკლუზიურად ამბობს, რომ მისი სურვილია, ახალ თაობას ყველა რეგიონში ჰქონდეს შესაძლებლობა ფეხბურთს საკუთარ მხარეში დაეუფლოს და ამისათვის დედაქალაქში წასვლის აუცილებლობა არ არსებობდეს. ამ მიზნის მისაღწევად ფედერაცია მომავალ წლებშიც აქტიურად იზრუნებს, რათა არსებული აკადემიები კიდევ უფრო განვითარდეს, იმ რეგიონებში, კი სადაც ის ჯერ არ ამოქმედებულა, თანამედროვე სტანდარტებით და საცხოვრებელით აღჭურვილი აკადემიები კიდევ გაიხსნას.

ილია მარტყოფლიშვილი

ყურადღება!

დიდი ხანია, ქ. დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქ. №4-ში, ფუნქციონირებს სილამაზის სალონი „იმიჯი“ (ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე). სალონში კიდევ შესაძლებელია ფრჩხილების მონესრიგება, გელ-ლაქის გაკეთება და ფრჩხილების დაგრძელება.

იუმორი

მიხოს კოჭლი შვილი ყავდა, ომში უნდა წავიდეო ამოიჩემა ...

სად უნდა წახვიდე გინდა აქ მე მანერვეულო და იქ სნაიპერი აწვალო?

* * *

ძვირფასო, ექიმმა მითხრა, რომ დიდი-დიდი 8 საათიღა დამრჩა სიცოცხლე.მოდი, წავიდეთ საუკეთესო რესტორანში, მერე სასტუმროში... ეუბნება ქმარი ცოლს.- ჰო, შენ რა გენაღვლება, დილით ასადგომი არ იქნები!

* * *

ორმა მთვრალმა კაცმა ტაქსის მძღოლის გაშაყირება მოინდომა და მძღოლს ჰკითხეს:- ძმაო, ნაგავს არ წაიღებ?- კი, ბატონო, დასხედით!

* * *

მთვრალი მამაკაცი ავტობუსში ასვლას ცდილობს. მგზავრებმა სიცილი დააყარეს:

— იცინეთ, იცინეთ...— გაბრაზდა მთვრალი, ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებს: მე ავტობუსის მძღოლი ვარ!.....

* * *

მდიდარი ქართველების შვილების საუბრიდან:

— მამაჩემს იმდენი ფული აქვს, რომ შეუძლია მთელი თბილისი იყიდოს!

— მამაჩემს ვეტყვი, რომ არ მიჰყიდოს!

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 11.02		სამშაბათი 12.02		ოთხშაბათი 13.02		ხუთშაბათი 14.02		პარასკევი 15.02		შაბათი 16.02		კვირა 17.02	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
2°	1°	0°	–1°	1°	–1°	2°	1°	3°	2°	2°	1°	2°	0°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.